

წა სოფრონ იერუსალიმელი

აპრილსა :ა: და დიდი
მარხვის :ე: კვირას

**მხორებაჲ წმიდისა ღა ნებარისა მარიამ მეგზავლისაჲ,
რომელი იყოფებოდა უღაბროთა მათ იორღანისათა***

თარგმანი წა კუთხიმი მთაწმიდელისა



აიდუმლოთა მეფისათა დაფარვად
კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღმრ-
თისათა ქადაგებაჲ სარგებელ არს
და დიდებულ. *ჩამეთუ ესრეთ ჰრქუა
ანგელოზმან ტობითს შემდგომად საკურველისა
მის ახილვისა თუალთა მისთაჲსა და შემდგომად
განსაცდელთა მათ, რომელნი მოიწინეს მის ზედა,
და ყოვლად განერა მათგან ღმრთისმსახურებისა
მისისათჳს. *ჩამეთუ არა დაფარვა საიდუმლოთა
ქუეყნისა მეფისათაჲ საცთურ არს და სატანჯე-
ელისა ღირს და ვერეთვე დადუმებაჲ საკურველთა
მათ საქმეთა ღმრთისათა სვენებელ არს სულისა
(ტობ. 12,7).**

რმისთჳს უკუე მეცა მეშინის საღმრთოთა მათ
საქმეთა ღუმლით თანაწარსლვად, ნუუკუე სას-
ჯელი იგი მონისაჲ მის მოიწიოს ჩემ ზედა, რო-
მელმან მიიღო უფლისაგან თჳსისა ტალანტი და
დაჰფლა იგი ქუეყანასა და რომელი იგი განსამ-
რავლებლად მიეცა (შდრ. მთ 25,18-25), ყოვლადვე
არა განიღო საფაჭროდ. *ოა რად არა ჩემ ზედაცა
მისი ორგულებად მემზილოს, ამისთჳს არა და-
ვიდუმო მითხრობად საქმესა კეთილსა, რომელი
სასმენელად ჩემდა მოიწია.*

ხოლო ნუმცა ვინ ურწმუნო იქმნების, რომელ-
იცა აღწერილსა ამას მიემთხვოს, გინათუ ჩემსა
ჰგონებდეს ნაცილსა რასმე და არა ჭეშმარიტსა
აღწერად, გინათუ საქმისა ამის საკურველებასა
ზედა ურწმუნო იყოს და ამისთჳს ორგულებდეს
თქუმულთა ამათთჳს.

ჩამეთუ ჩემდა ნუ იყოფინ ტყუილი საღმრთო-
თა მათ ზედა სიტყუათა, რომელთა შინა უფალი
იკსენების. *ოა კუალად უკუეთუ ვინმე უდარეს
დიდებულებითა მათგან განკორციელებულისა
ღმრთისა სიტყვსა გულისკმა-ჰყოფდეს და ვერ
ჰრწმენეს მისითა მით მადლითა აღსრულებულ-
თა საქმეთა საკურველებად, არცა ერთი აქუს მათ
სიტყუად. *სარნა მათცა შემნდობელ ყვან უფალი**

და განახუნ საცნობელნი გულთა მათთანი სარ-
წმუნობად, რამეთუ იცის მან, ვითარმედ იგი-
ნიცა უძლურებასა მას კაცობრივისა ბუნებისასა
იგონებენ. *ოა ამისთჳს ძნიად შესაწყნარებლად
უჩნს, ოდეს უდარეს ბუნებისა საქმენი ესმოღინ
ვისთჳსმე მისვე ბუნებისაგანისა.*

ხოლო ვიწყო აჲ ახლისა მის სულიერისა საქ-
მისა მითხრობად და გაუწყო საქმე, რომელი ჩუენ
ამას ნათესავსა ზეადესრულა, არამედ ნუცა ესე
გიკერს, თუ ვითარი უძლურსა ამას ნათესავსა
შინა ესევეთარი საქმე იპოა. *ჩამეთუ მადლი იგი
ყოვლად წმიდისა სულისაჲ ნათესავითი-ნათესავ-
ად ჰპოებს ღირსთა მისთა და მეგობარ ღმრთისა
და მოქმედ საქმეთა საკურველებისათა ჰყოფს მათ.*
ხოლო ჟამი არს აჲ სულიერისა მის თხრობისა
დაწყებად.

2. სო კაცი ვინმე მონასტერსა ერთსა **პალეს-**
ტინისასა, შემკობილი საქმითა და სიტყუთა, რო-
მელი სიჩრდთგან აღზრდილ იყო მონაზონებისა
მოქალაქობასა შინა და მოღუაწებასა და სახელი
ბერისაჲ მის **ზოსიმე**. *ოა ნუვინ ჰგონებს ერთო-
ბისათჳს სახელთაჲსა, თუ მას ვიტყვ **ზოსიმეს**,
რომლისათჳს თქუმულ არს, თუ სცთა მართლისა
სარწმუნოებისაგან. *ჩამეთუ სხუად ესე არს ესე
და სხუად არს იგი და ფრიადი არს მათ შორის
განყოფილებად, დაღაცათუ ერთ არს სახელი
მათი.**

სე უკუე **ზოსიმე** მართლმადიდებელ მონაზონ
იქმნა სიყრმითგან, ვითარცა ვთქუ, მონასტერ-
სა ერთსა **პალესტინისა** მონასტერთა შორის. *ოა
ყოველივე სახე მოღუაწებისაჲ აღასრულა და
ყოველსავე წესსა სათნოებისასა მიიწია, ყოვე-
ლივე კანონი მონაზონებისაჲ დაწესებული პირ-
ველთაგან მამათა დაიმარხა და მრავალი თავით
თჳსითცა შესძინა სახე ღმრთის-მსახურებისაჲ და
მორჩილებად კორცთა, სულისა და განწმედად
გონებისა მისისა შეწყნარებად მადლსა უფლისა-*

* მირაშვილი ნ., მონანიე და განდევნილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში (X-XI სს-ის ხელნაწ. მიხედვით), თბ., 2009. გვ. 102-120.

სა, რომელიცა ჭეშმარიტად იქმნა. ჯამეთუ ესრეთ სახელოან იქმნა იგი წესსა ზედა მოღუაწებისასა, ვიდრე ყოველნივე გარემოფსთა მონასტერთა მონაზონნი და მრავალნი შორიელნიცა მისსა მოვიდოდეს განკითხვად გულის-სიტყუათა თვსთა და მის მიერ მიიღებდეს კურნებასა ვნებათასა და წესისა მის მონაზონებისა კანონისა. **ჟოლო** იყო საქმე მისი დაუცხრომელი წურთად საღმრთოთა სიტყუათად დღე და ღამე და გალობად, წურთად სიტყუათა წერილისათა.

თა მრავალგზის ჩუენებათაცა საღმრთოთა ხილვად ღირს იქმნის წმიდა იგი ბერი, ვითარცა იტყვს უფალი, რამეთუ: *«ნეტარ იყუნენ წმიდანნი გულისთა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ»* (მთ. 5,8), და ნანდვლვე ეგრეთ არს, რამეთუ რომელთა განიწმიდნენ სულნი მათნი ცორცთა თანა, იგინი მღვდართა მით თუალთა სულისადთა და წინდად საუკუნოთა მათ კეთილთა აქუნდელ ხილვანი იგი.

სტყოდა უკუე ნეტარი **ზოსიმე**, ვითარმედ სიჩხოთგან მონასტერსა მას მიეცა და ვიდრე ერგასის და სამ წლამდე აღასრულა მას შინა სრბად მოღუაწებისად, რაოდენცა შესაძლებელ იყო.

3. **ჟოლო** შემდგომად ესოდენთა მათ წელთა მოღუაწებისა, მოუცდეს მას გულის-სიტყუანი, ვითარცა იტყოდა, ვითარმედ განსრულებულ არს იგი ყოველსავე ზედა და არღარა ეკმარების სხვსა მიერი სწავლად და იგონებდა თვსსა გონებასა შინა და იტყოდა: *«არს-მე-ა ქუეყანასა ზედა მონაზონი, რომელმანმცა შეუძლო სწავლად და ჩუენებად ჩემდა უცხოთა რასმე მოღუაწებისა სახესა, რომელიმცა მე არა უწყოდე, არცამცა მექმნა? ანუ იპოების-მე მონაზონი ვინ უდაბნოთა შინა უაღრესი ჩემსა საქმით და გულის-კმის-ყოფით?»*

სმას ესევითარსა რად იგონებდა ბერი იგი, აჰა ესერა, კაცი ვინმე დიდებული მოუცდა მას და ეტყოდა: *«ჰო, ზოსიმე, კეთილად გიღუაწიეს და რაოდენცა შესაძლებელ არს კაცისა მიერ კეთილად გივლიეს მონაზონებისა სარბიელი. სარნა არაჲინ არს კაცთა შორის, რომელსამცა სრულებად აქუნდა, არამედ უმეტეს არს წინამდებარე იგი ღუაწლი გარდასრულისა, დაღაცათუ კაცნი უმეტარ არიან საქმესა ამას. ჟოლო რადთა სცნა, თუ რაოდენნი არიან სხუანი გზანი ცხოვრებისანი, გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავთაგან შენთა, ვითარცა მამათმთავარი აბრაჰამ* (შდრ. დაბ. 12,1), და მივედ მას რომელსამე მონასტერსა, რომელ არს მაზლობელ **იორდანისა»**.

4. **ძვესეულად** უკუე შეუდგა ბერი ბრძანებასა

მას და გამოვიდა მონასტრისა მისგან, რომელსა შინა აღზრდილ იყო სიყრმითგან და მიიწია წმიდასა მას მდინარესა **იორდანისასა**, ვიდრე მოუძლუა ღმერთმან მონასტერსა მას, რომლისათვს უბრძანა გამოსლვად თვსით სენაკით. **თა** ჰრეკა რად კარსა მონასტრისასა, გამოვიდა მეკარე და შეიწვნარა იგი და მიუთხრა მისთვს მამასახლისსა. **ჟოლო** მოუწოდა მას და აღასრულეს ლოცვად, მოიკითხნეს ურთიერთას და დასხდეს. **თა** იხილა რად კეთილი იგი სახე და წესიერებად **ზოსიმე** მამასახლისმან, ჰრეკა მას: *«ვინად მოხუალ, ძმაო, ანუ რადსათვს გლახაკთა ამათ ბერთა თანა მოიწიე?»* მიუგო **ზოსიმე** და ჰრეკა მას: *«თუ ვინად მოვალ, არად საკმარ არს ჩემდა თქუმად, მამაო სულიერო. სარნა მო-ამისთვს-სრულ ვარ, რადთა სარგებელი სულისად ვპოო, რამეთუ მასმან თქუენთვს საქმენი დიდნი და საქებელნი და შემძლებელნი განათლებად სულისა და გზასა ქრისტეს მცნებათასა წარძღომად»*. **სრეკა** მამასახლისმან: *«ღმერთმან, ძმაო, მკურნალმან მან კაცთა უძღურებისამან, მან გასწავენ შენცა და ჩუენცა ნებად მისი და წარგვმართენ უმჯობესსა სულთა ჩუენთასა, რამეთუ კაცსა ვერად ძალუც კაცისადა სარგებელი, უკუეთუ არა მადლი უფლისად შეეწეოდის და უფროდსა უკუეთუ არა კაცად-კაცადი ეკრძალებოდის თავსა თვსსა და მჭურვალთა გულისთა შეწევნასა ღმრთისა მიერ ითხოვდეს. სარნა ვინადგან სიყუარულმან ქრისტესმან მოგიძლუა ხილვად გლახაკთა ამათ, დაადგერ ჩუენ თანა და ყოველნი გამოგუზარდნეს მადლითა მით სულისა წმიდისადთა. შევემსმან მან კეთილმან, რომელმან მისცა სული თვსი ცხოვრთა თვსთათვს და მოგვზიდნა ჩუენ პატიოსნითა სისხლითა მისითა»* (შდრ. ინ. 10,11).

5. **სე** რად ჰრეკა მამასახლისმან **ზოსიმეს**, აღასრულეს კუალადცა ლოცვად და დაადგრა მონასტერსა მას და იხილნა მუნ ბერნი საქმითა და სიტყვთა განბრწყინებულნი, სულითა მხურვალენი და მონებად უფლისა ახოანნი. **ჯამეთუ** ლოცვად სამარადისოად აღესრულებოდა მათ მიერ და ზედგომად ფრიადი ფსალმუნებასა შინა ღამისასა და დღისი ჳელთ-საქმარნი არიან ჳელთა მათთა და ფსალმუნი პირსა მათსა. **სიტყუად** ცუდი არა იქცეოდა მათგან, ზრუნვად საქმეთა სოფლისადთა არა იპოებოდა მათ თანა. **შემოსავლისა** საფასეთანი და საურავნი ამარნი არა ითქუმიდეს მათ მიერ, არამედ ერთი იყო საქმე მათი, რადმცა კაცად-კაცადმან მოაკუდინნა ცორცნი თვსნი და *მკუდარმცა იყო სოფლი-*

სა ამისგან და საქმეთა მისთავან. ოა საზრდელ მათდა სულიერ იყუნეს საღმრთონი სიტყუანი, ხოლო ჳორცნი მათნი იზარდებოდეს პურიტა და წყლიტა, ვითარცა კაცად-კაცადსა ძალ-უცნ და ვითარცა თითოეულსა აღსძრვიან სიყუარულისა მკურვალეებად.

შმას ესევეითარსა რად მოქალაქობასა ხედვიდა **ზოსიმე**, ფრიად აღშენებულ იყო და წარემატებოდა გულსმოდგინებად მისი, ვინამთგან პოვნა კეთილნი თანამუშაქნი მუშაკობად სამოთხესა მას სულიერსა.

ჴოლო წარკდეს რად ღლენი არამცირედნი, მოეახლა ჟამი წმიდათა მარხვათა მოწევისად, რომელ-იგი წესი არს ქრისტეანეთად განსაწმედელად მათ და თაყუანისცემისათჳს წმიდისა მის ქრისტეს ვნებისა და ცხოელმყოფელისა აღდგომისა.

5. წყო უკუე წესი ესევეითარი მონასტერსა მას, რომლისათჳსცა მოუძღუა ღმერთმან **ზოსიმეს** მუნ მისლვად, რამეთუ კარი მონასტრისად მას ვშულ არიან. წარნა თუ უცხოვ ვინმე მოვიდის და განუდიან მას. ოა უცხონიცა მცირედ მივიდოდეს მუნ, *ვინამთგან ადგილი იგი უდაბნოვ იყო და მრავალთა მიერ უცნაურიცა* (შდრ. მრკ. 6,35).

ჴოლო კურიაკესა მას ყველიერისასა აღასრულიან რად წმიდად ჟამის წირვად და ეზიარნიან ცხოელმყოფელთა და უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა და მიიდიან საზრდელი, მეფსეულად შეკრბიან ეკლესიად ყოველნივე და აღასრულიან ლოცვად ზეგარდამოდ და კელგანჰყრობით მყოარ ჟამ ღმერთსა ევედრნიან და ამბორს-უყვნიან მამასა ხლისსა და ურთიერთს ყოველთა და მოიდიან ლოცვად წმიდად წინამძღუარისად საგზლად. ოა მერმე განეზუნიან კარნი მონასტრისანი და გალობდიან ერთბამად ფსალმუნსა ამას: *«უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა; მე ვისგან მეშინოდის?»* (შდრ. ფს. 26,1) და შემდგომად ამისა, ესრეთ განვიდიან მონასტრით და დაუტევნიან მონასტერსა ერთ ანუ ორი ძმად მცველად. წრა თუ რად საფასენი მათნი დაიცვენენ, რამეთუ არცა რად იყო მათ თანა მპარავთა წარსაპარველ, არამედ რადთა არა დაშთეს ეკლესიად ულოცველად. ოა ესრეთ წიად-კდიან **იორდანესა** და განეშორნიან ურთიერთსა და კაცად-კაცადი უდაბნოთა მათ შინა იქცევიან. ოა საზრდელად თანააქუნ თითოეულსა რომელსამე პური, რომელსამე ლედჳ კმელი, რომელსამე ფინიკი, სხუასა ცერცჳ დამბალი, სხუასა არარად აქუნ, გარნა თივითა ხოლო უდაბნოვსადთა იზარდებოდინ. ოა წესი

ესე აქუნდა, რადთა არა უწყოდის ერთმან მეორისა მოქალაქობად და მარხვად და არცა მივიდის ერთი მეორისა, არამედ დაღაცათუ ვინ მათგან-მან იხილის მოყუასი თჳსი, შორით მოუქციოს გზისა მისგან და არა შეემთხვოს მას, არამედ კაცად-კაცადი ღმერთსა მხოლოსა ხედვენ და მას ჰმონებნ. ოა ესრეთ რად აღესრულნიან წმიდანი იგი ღლენი იგი მარხვათანი, მოიქციან მონასტრადვე წინა კურიაკესა ქრისტეს აღდგომისა მისისა, რომელსა წინადღესასწაულად რტოებითა ბადადსადთა ეკლესია აღასრულებს. ოა მოიქციან რად, თანააქუნ კაცად-კაცადსა თჳსისა ნამუშავეისა ნაყოფი და თითოეულისა გონებად არნ მოწამე შრომისა მისისა და არავინ კაცთაგანი.

15. წსე უკუე იყო წესი და კანონი მონასტრისა მის და ესრეთ უდაბნოსა მას შინა, თითოეული წინაშე ღმრთისა აღასრულებდა შრომათა თჳსთა განშორებულ მაჩუწნებლობისაგან კაცთადსა. ჰამეთუ რაოდენიცა კაცთა საჩუენებელად იქმნებოდის, *ამას თუ ოდენ არა სარგებელ-ყოფის მოქმედსა მას, არამედ უფროდსდა ფრიადისა ვნებისა მომატეუებელ არს* (შდრ. ლუკ. 6,26).

ჰამინ უკუე **ზოსიმეცა** წესისა მისებრ მონასტრისა **იორდანე** განვლო და თანა აქუნდა მცირედი რადმე საზრდელი ჳორცთად და აღასრულებდა წესსა კანონისა თჳსისასა უდაბნოსა მას შინა. ოა სადაცა ღამე ეწიის, დადგის და აღასრულნის ლოცვანი თჳსნი და მცირედ განისუენის და განთიად კუალად იწყის სლვად და მოიღის საზრდელი, ოდეს იხილის ძალი მოკლებად.

6. ჴოლო მოუკდა მას სურვილი, ვითარცა თჳთ იტყოდა, შესლვად უშინაგანესსა უდაბნოსა, ნუ-უკუე ჰპოოს ვინმე მამათაგანი, რადთამცა ცნა, თუ არს ვინ ძლიერი მოღუაწე გულის-სიტყვსა მისებრ, რომელი ზემო ვაცსენეთ, თუ მოუკდებოდა გულსა მისსა, რომლისათჳსცა უბრძანა ღმერთმან მონასტერსა მას მისლვად. ოა მისწრაფებითა ვალნ იგი ღლითი-ღლე ფრიადითა წადიერებითა, ვითარცა საჩინოსა რასმე და განშზადებულსა საგანესა მივიდოდა. ოა ვითარ-იგი ვლო ოც ღლე, და რად მოიწია ჟამი შუადღისად, დადგა სლვისა მისგან და აღიჰყრნა კელნი აღმოსავალით და აღასრულებდა გალობასა შუადღისასა. ჰამეთუ ესრეთ აქუნდა ჩუეულებად დადგომად განწესებულთა მათ ჟამთა ღლისათა და აღასრულებდა ლოცვათა თითოეულისა ჟამისათა მუკლთა ღრეკითა და ესრეთ კუალად იწყის სლვად. ჴოლო ვითარ-იგი დგა და ილოცვიდა კელგანჰყრობით, იხილა მარჯუშნით კერძო მისსა აჩრდილი კაცისად მისდა

ზედა მოწვეული. ოა ესე რად იხილა, პირველად შეშფოთნა, რამეთუ ოცნებაჲ საეშმაკოდ ეგონა და მყესეულად მოეგო გონებასა და ჯუარი ქრისტესი გამოისახა პირსა ზედა, განაგდო შიში იგი და მიიქცა მუნ კერძო, ვინაჲ იგი აჩრდილი უჩუენა, რამეთუ ლოცვაჲ მისი აღსასრულად იყო. ოა იხილა ჭეშმარიტად კაცი ვითარ სამხრის კერძოთ ჩრდილოთ კერძო მიმავალი, შიშუელი გუამითა, შავად გარდაქცეული სიცხისა მისგან მზისა. ოა თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ და იგიცა მცირედ, ვიდრე მკართამდე ოდენ მოზრდილ.

ესე რად იხილა **ზოსიმე**, საესე სიხარულითა იქმნა და განიხარა ფრიად გულმან მისმან ხილვა უცხოჲსა მისთჳს საკურველისა. ოა იწყო სრბით დევნად მიმავლისა მის, რამეთუ არა ეხილვა ყოველსა მას ოცისა დღისა საგალსა სახე კაცისაჲ, ანუ სხუასა რადსამე იძრვისისა, მფრინველისა, გინა ოთხფერკისაჲ და რბიოდა მიწვენად მისსა. ღოლო მან იხილა რად **ზოსიმე** შორით მიმავალი, იწყო უმეტეს სრბით სივლტოლად უშინაგანესისა უდაბნოჲსა კერძო. ოა **ზოსიმე** დაიფიწყა სიბერისა თჳსისა უძლურებაჲ და ესოდენტა მათ დღეთა შრომაჲ და ვითარცა განჭაბუკებული გულსმოდგინებისა მიერ რბიოდა ძლიერად მიწვენად მისსა. ესე უკუე სდევდა და იგი ივლტოდა. ღოლო იყო **ზოსიმეს** სრბაჲ უმაღესი, და მცირედ-მცირედ მეოტსა მას მიეახლებოდა. ოა ვითარ-იგი ესოდენ მიახდა, რომელ კმაჲ ესმოდა, იწყო **ზოსიმე** კმობად მისდა და ცრემლით ეტყოდა: «რად მველტი მე, ცოდვილსა ამას ბერსა, მონაო ღმრთისაო, მელოდე მე, ვინცა ხარ. საფუცებ ღმერთსა, რომლისათჳს უდაბნოჲ ესე დაგიმკდრებიეს. ძელოდე მე, უძლურსა ამას და უღირსსა სასოებისა მისთჳს, რადსა მოელი ესოდენტა შრომათათჳს. ოადგ და ზიარ-მყავ ლოცჳსა და კურთხევისა შენისა. საფუცებ უფალსა, რომელი არა მოიძულეებს ცოდვილთა!»

სმას ესევეითარსა რად ეტყოდა **ზოსიმე**, მიიწინეს ადგილსა რასმე, რომელი სახედ ნაღუარევისაჲ კმელისა იყო. სრათუ ნაღუარევიმცა იყო, რადთა არა არს ესევეითარი მას ქუეყანასა, არამედ ადგილი იგი ეგვეითარისა სახისაჲ იპოა.

ვითარ უკუე მიიწინეს მუნ, მლტოლვარე იგი შთავიდა ნაღუარევის სახესა მას და მყის აღვიდა წიაღკერძო. ღოლო **ზოსიმე** დამაშვრალი და ვერღარა შემძლებელი სრბად, დადგა ამიერკერძო ნაღუარევისა მის და შესიძინა ცრემლთა ცრემლნი და გოდებასა გოდებაჲ. ღირილისა მისთჳს უმეტესად ესმოდეს მლტოლვარესა მას კმაჲ მისი. ძა-

შინ უკუე დადგა იგი და ესრეთ ჰრქუა მას: «მამაო **ზოსიმე**, შემინდვე უფლისათჳს. სერ შემძლებელ ვარ მოქცევად შენდა ესრეთ პირისპირ, რამეთუ დედაკაცი ვარ და შიშუელი, ვითარცა მხედავ. სრამედ ვინადთგან გნებაჲს ცოდვილისა ამის დედაკაცისაჲ ლოცვისა მონიჭებაჲ, მომიგდე საბლარდნელი ეგე, რომელ გმოსიეს, რადთა დავიბურო დედობრივი უძლურებაჲ და მოვიქცე შენდა და მოვილო წმიდაჲ ლოცვაჲ შენი».

7. ძაშინ ძრწოლად შეუხდა **ზოსიმეს**, ესმა რად, ვითარმედ **ზოსიმე** უწოდა სახელდებით. ძამეთუ მახვლი იყო გონებითა ნეტარი იგი და საესე საღმრთოთა სიბრძნითა და გულისკმა-ყო, ვითარმედ არამცა სახელით უწოდა, რომელი არასადა ეხილვა და რომლისათჳს არაოდეს ასმიოდა, უკუეთუმცა არა წინაღსწარმცნობელობისა მადლითა შემკობილ იყო. ღოლო მყესეულად ბრძანებული იგი აღასრულა და მოიძარცუა საბლარდნელი იგი, რომელ ემოსა და მიუგდო მას უკუეხედვით მდგომარეჲმან. ოა მიილო მან და მოიბლარდნა დასაფარვად ასოთა თჳსთა, და მოიქცა **ზოსიმეს** კერძო და ჰრქუა მას:

«რადსათჳს-მე ინებე, მამაო, ცოდვილისა დედაკაცისა ხილვაჲ? რადსა კეთილსა ჰგონებ ჩემგან ხილვად, ანუ სწავლად, რომელ ესოდენი შრომაჲ თჳს იდეჲ?» ღოლო **ზოსიმე** მუკლნი მოიდრიკნა და ითხოვდა კურთხეჲსა ჩუეულებისაებრ. ძაშინ უკუე მანცა მოიდრიკნა მუკლნი და აიძულებდა ურთიერთსა კურთხევისა წართქუმაჲ და ვითარ მყოარ ჟამ აწუევდეს ურთიერთას და არარას სხუასა იტყოდა თითოეული, გარნა ამას, ვითარმედ: «გუაკურთხენ». ძაშინ დედაკაცმან მან ჰრქუა **ზოსიმეს**: «მამაო **ზოსიმე**, შენდა ჯერ-არს ლოცვისა და კურთხევისა წართქუმაჲ, რამეთუ მდღელობითა პატივითა პატივცემულ ხარ, შენ მრავლით ჟამითგან წინაშე წმიდისა საკურთხეელისა მდგომარე ხარ და მრავალგზის წმიდათა საიდუმლოთა შემწირველ ქმნილ ხარ».

ესე რად ესმოდა **ზოსიმეს**, უმეტეს განკურვებითა განცებრებულ იყო და შიშისაგან ოფლნი სდიოდეს. ძიუგო უკუე ძრწოლით და ჰრქუა მას: «საცნაურ ხარ შენ, სახისაგანცა შენისა, დედაო სულიერო, ვითარმედ ღმრთისა მიცვალებულ ხარ და სოფლისა ამისგან მომკუდარ ხარ. ღოლო გამოაცხადებს უმეტესად მადლსა სულისა შენისასა საქმეცა შენი, რომელ სახელით მიწოდე და მდღელად მიწესე, რომელი-ესე არაოდეს გიხილავ, ვინადთგან უკუე მადლი ღმრთისაჲ არა გარეშეთა პატივთაგან იცნობების, არამედ წე-

სთაგან სულისათა გამოსახვისა. შენ მაკურთხე უფლისათეს და ზიარ-მყავ ღოცვისა სრულები-სა შენისასა».

თაპმორჩილდა უკუე დედაკაცი იგი და თქუა: «კურთხეულ არს ღმერთი, რომელი-იგი მეძიე-ბელი არს ცხორებასა სულთა ჩუენთადასა». თა **ზოსიმე** თქუა ამინი და აღდგეს ორნივე ქუეყანით და დედაკაციმან მან პრქუა ბერსა: «რადსათეს-მე მოხუედ ცოდვილისა ამის მომართ, კაცო ღმრ-თისაო? რადსათეს ინებე ყოვლისა კეთილისაგან განშეშულებულისა დედაკაციისა ზილვად? გარნა ვინადთგან მადლმან სულისა წმიდისამან მოგიძ-ღუა, რადთა მსახურებად განგებულებისა მისისა აღასრულო ჩემ ზედა. ჰითხარ, გევედრები, ვი-თარ იყოფების დღეს ქრისტეანეთა ერი? ვითარ ქრისტიანობენ ოდენ მეფენი?» მიუგო **ზოსიმე** და პრქუა მას: «ყოველთავე, დედაო სულიერო, ქრ-ისტემან ღოცუთა შენითა მშკდობად კეთილი და წარმატებად საღმრთოდ მიჰმადლენ. წარნა მიით-ვალე ბერისა უღირსისა ვედრებად: გევედრები და ღოცვა ჰყავ ყოვლისა სოფლისათეს და ჩემთეს ცოდვილისა, რადთა არა უნაყოფო იყოს ჩემდა უდაბნოდსა ამის შრომად და ყოვლისავე მონაზ-ონებისა ჩემისადა». ღოლო მან მიუგო და პრქუა მას: «შენდა ჯერ-არს, მამაო **ზოსიმე**, ჩემთესცა და ყოველთათეს ღოცვად, რამეთუ მდღელობისა პა-ტივი გაქუს და ამას ზედა განწესებულ ხარ. წარნა ვინადთგან მორჩილებისა ქმნად ბრძანებულ ვართ, სიტყვსაებრ შენისა აღვასრულო».

თა ესე რად თქუა, მიიქცა აღმოსავალით და აღიხილნა თუალნი ზეცად და კელნი განიჰყრნა და იწყო ღოცვად. ღოლო კმად მისი არა ისმო-და. წმისთესცა **ზოსიმეს** არა ესმოდა სიტყუად ღოცვისა მისისადა, არამედ მოდრეკილ იყო ქუ-ეყანად და დგა ღუმლით. ღოლო ფუცვიდა და ღმერთსა მოწამედ სიტყვსა თესისა მოიყვანებდა. წითარმედ იხილა რად დაყოვნებად მისი ღოცვა-სა შინა, აღიხილნა მცირედ და მიხედნა მას და იხილა იგი აღმადლებული ქუეყანით, ვითარ წყრ-თა ერთ და ჰაერსა დამოკიდებული ილოცვიდა.

სე რად იხილა, უმეტესითა შიშითა დავარდა ქუეყანასა ფრიად განკვრევილი და მდებარე იყო ღუმლით და თესა იგი ოდენ იტყოდა «კვრიე-ლეისონსა».

8. ღოლო მდებარე იყო რად ქუეყანასა ზედა, იწყო გულსა შინა თესსა დაბრკოლებად, ნუუკუე სული ოცნებისადა არს და ღოცვასა იჩემებს. ჰაშ-ინ მოიქცა დედაკაცი იგი, აღადგინა ბერი და პრ-ქუა მას: «რადსათეს შეგაშფოთებენ გულის-სი-

ტყუანი (მდრ. ლუკ. 5,22), მამაო, და მოგაგონებენ, ნუუკუე სული ვარ მე ოცნებისადა და ღოცვასა ვიჩემებ. სულსავსე იყავ, კაცო ღმრთისაო, დედაკ-აცი ვარ ცოდვილი, გარნა წმიდისა ნათლისღები-სა მიერ შეჭურვილ ვარ და არა სულ ვარ, არამედ მიწა და ნაცარ და ყოვლითურთ კორც, რომელსა არა ოდეს სულიერი რად გულისკმად მიყოფიეს». თა ამას რად იტყოდა, შეიბეჭდა თავი თესი სას-წაულითა ჯუარისადათა, პირი და თუალნი, თავი და შუბლი და მკერდი და გული და თქუა: «მამაო **ზოსიმე**, უფალმან გკცენინ ჩუენ ეშმაკისაგან დ საცთურთა მისთაგან, რამეთუ მრავალ არიან ჩუენ ზედა ღონენი მისნი».

სე რად ესმა ბერსა და იხილა, შეუვრდა ფე-რკთა მისთა და ეტყოდა ცრემლით: «გაფუცებ შენ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომელი იშვა ქალ-წულისაგან, რომლისათეს ესე სიშიშულე თავს-გიც და კორცნი შენნი განგილევინ, რადთა არ-არად დაჰფარო მონისა შენისაგან, თუ ვინადა ხარ, ანუ ვინადა ოდეს, ანუ ვითართა წელთა უდაბნოდ ესე დაიმკვდრე? ნურას დაჰფარავ ჩემგან, არამედ ყოველივე მაუწყე, რადთა დიდებულებად ღმრთი-სადა საცნაურ-ყო. ჩამეთუ *სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინოდ, არად სარგებელ არიან* (მდრ. ტობ. 12,7), ვითარცა წერილი იტყვს. ჰითხარ მე ყოველივე ქრისტესთეს, რამეთუ არა სიქადუ-ლით, ანუ კაცთა მოთნებით იტყვ, არამედ რადთა გულსავსე-მყო მე, ცოდვილი ესე და უღირსი. თა მრწამს ღმრთისადა ძლიერისა, ცხოელ ხარ, ვითარმედ ამისთეს მომიძღუა უდაბნოსა ამას, რადთა საქმენი შენი საცნაურ ჩემდა ქმნას და არა კელ-გუეწიფების უკუე განგებულებათა ღმრ-თისათა წინა-აღდგომად. ჩამეთუ უკუეთუმიცა არა სთნდა უფალსა საცნაურ-ყოფად მოქალაქობისა შენისადა, არცამცა ყოვლადვე მეხილვა შენი სი-წმიდე, არცა განძლიერებულ ვიყავ ესოდენითა დღეთა გზისა სლვად უძღური ესე».

ღოლო დედაკაციმან მან აღადგინა იგი ქუეყანით და პრქუა მას: «მრცხუენის მე, მამაო, შემინდვე სირცხვლისა მის საქმეთა ჩემთადასა თხრობად შენდა, გარნა ვინადთგან გუამი ჩემი შიშუელი იხილე, გამოგიცხადნე საქმენიცა ჩემნი, რადთა სცნა, როდენითა სირცხვლითა სავსე არს სული ჩემი. ჩამეთუ არათუ ვითარ-იგი შენ ჰგონებ, რადთა არა სიქადულად შემერაცხოს ამისთეს. წრა მნებაეს საქმეთა ჩემთა მითხრობად, რამეთუ რადსათესმცა ვიქადოდვე, რომელი-ესე ჭურ ცო-დვისა ვექმენ ეშმაკსა. წრამედ ვიცი, უკუეთუ ვიწყო საქმეთა ჩემთა თქუმადა, ივლტოდვე ჩე-

მგან, ვითარცა ვინ იფლტინ გუელისაგან და ვერ თავს-იდვან სასმენელთა შენთა სმენად ბოროტთა ჩემთად. სარნა ყოველსავე ზედ ვიტყოდი და არა რად დაგიფარო, არამედ პირველად გაფუცებ და გვედრები, რადთა არა დასცხრე ლოცვად ჩემთს უფლისა მიმართ, პოვნად ჩემდა წყალობისა დღესა სასჯელისასა!»

9. **ჰოლო ბერი იგი დაუცადებელად ცრემლო-და.** ჰაშინ უკუე დედაკაცმან მან იწყო თხრობად და იტყოდა: «მე, მამაო სულიერო, ვარ ქუეყანით **გვბტით**. ოა ვიდრელა მშობელნი ჩემნი ცოცხალ იყვნეს, ვიყავ რად ათორმეტისა წლისად, სიყუარული მათი უგულვებელს-ყვავ, განვეშორე მათ და მივედ **ალექსანდრიად**. ოა ვითარ-იგი ქალწულე-ბად ჩემი განვკრწენ და ვითარ განუძლომელი და დაუსრულებელი ტრფიალებად მაქუნდა სიძვისა, მრცხუნის მოგონებადცა, არამედ ესე გითხრნა მოკლედ, რადთა ბოროტთა ჩემთა სიმრავლე სცნა: ათწდმეტი წელი ამისათვს არავისგან მოვიღებ-დი, რამეთუ თვთ მოვირწედი საკმარსა ჩემსა და ოდესმე სელსა ვსთვედი, არამედ რომელი-იგი მაქუნდა გულის-თქუმა და ტრფიალებად განუძლომელი ყოვლადვე მწკრესა მას შინა ცოდვისასა ვიწუებობოდი.

სმისთვს ვიქმოდე ამას შინა და ესე მაქუნდა საწადელად სამარადისო იგი შევინებად ბუნებისა.

სმის ესევითარსა რად ცხორებასა შინა ვიყავ, ვხედვედ დღესა ერთსა, კაცთა **გვბტელთა**, **თი-ბაიდელთა** და **ლიფიელთა** სიმრავლესა ფრიად-სა, მიმაგალსა ზღუად კერძო. ოა ვპკითხე ვისმე, თუ რად ისწრაფვიან კაცნი ესე მისლვად. ოა მან მრქუა მე: «**იჭრუსალემს** მივლენ ყოველნივე ამადლებისათვს ცხოვლემყოფელისა ჯუარისა, რომელ-იგი აღესრულების შემდგომად მცირეთა დღეთა». ოა მე ვარქუ მას: «არამცა წარმიყვანესა მათ თანა, უკუეთუ მენებოს წარსლვის?» ხოლო მან მრქუა მე: «უკუეთუ გაქუს *მიზდი* ნავისად და საგზალი შენი, არავინ არს მაყენებელ შენდა». ჰიუგე და ვარქუ მას: «ჰუმმარიტად *მიზდი*, ანუ საგზალი არა მაქუს. სარნა წარვიდე და შევიდე ნავსა ერთსა მუნ მიმაგალსა, და გამოშხარდოს მე, ენებოს თუ გინა არა, რამეთუ ჴორცნი მქონან მე, რომელნი კმა-ვეყნენ მათ *მიზდად*». ოა ამისთვს მენება, მამაო, წარსლვის, შემინდევ, რადთა მრავალნი ვპოვე ტრფიალნი ვნებისა ჩემისანი.

სარქუ შენ, მამაო **ზოსიმე**, თუ ნუ მაიძულებ თქუმად სირცხელისა ჩემისა, რამეთუ ვძრწი, უწყის უფალმან, თხრობად და ჰაერთა შევაგინებ სიტყვთა ჩემითა». **ჰოლო ზოსიმე** ცრემლითა

დაალტობდა ქუეყანასა და ეტყოდა: «იტყოდე, დედაო სულიერო, იტყოდე და ნუ გარდაჰკუშთ თხრობასა მას სულთა სარგებელსა».

ჰოლო მან იწყო კუალად სიტყვსავე თვსსა და თქუა, ვითარმედ: «მას ჴაბუკსა, რომელსა ვეტყო-დე, ესმა რად სიტყუათა ჩემთა სიხენეშე, სიცილით თანაწარმ კდა. **ჰოლო** მე დაგავდე ჴელთაგან ტარი, რამეთუ-იგი მაქუნდა მაშინ და მიგრბიოდე ზღუად, სადა-იგი სხუანიცა მივიდოდეს. ოა ვიხილენ ჴაბუკნი ვინმე ზღვს პირსა მდგომარენი, ვითარ ათნი ოდენ, უწყსონი სახითა და აღმიხნდეს იგინი მოზავებულ ნებისა ჩემისა, რომელნი-იგი სხუათაცა მათ მოელოდეს. ოა შევვარდი შორის მათსა ურცხნოებით, ვითარ-იგი ჩუეულ ვიყავ და ვარქუ მათ: «წარმიყვანეთ მეცა თქუენ თანა, ვიდრეცა ხუალთ და არა უკმარ გეპოო». ოა სხუანიცა ბილწებისა სიტყუანი ვთქუენ და ყოველნი აღვსძრენ სიცილად. **ჰოლო** მათ იხილეს რად ესევითარი იგი ურცხნოებისა წესი ჩემი, აღმიყვანეს ნავად მათ თანა და რომელთა-იგი მოელოდეს, მოიწინეს და წარვემართენით სლვად. **ჰოლო** მიერთგან ვითარ-მე მიგითხრა, კაცო ღმრთისაო? რომელმან ენამან თქუას, ანუ რომელმან სასმენელმან შეიწყნაროს, რაოდენსა-იგი ზღუასა მას შინა და სლვასა მას ჩემსა ვაიძულებდ საწყალობელთა მათ ქმნად. **სრა** არს სახე ბილწებისად, თქუმული დ გამოუთქმელი, რომლისა არა ვექმენ უბადრუკთა მათ მასწავლელ. ოა აწ გულსავე იყავ. ჰიკერს, ვითარ თავს-იდვა ზღუამან ბოროტნი ჩემნი! ვითარ არა განაღო ქუეყანამან პირი თვსი და ცოცხლივ ჯოჯოხეთს შთამხადა, რომელმან ესოდენთა მათ სულთა საფრჴე დაუგე. **სრა**მედ ვითარ ჩანს, ღმერთი სულგრძელ მექმნებოდა და მოელოდა სინანულსა ჩემსა, *რამეთუ არა ჰნებავს მას სიკუდილი ცოდვილისად, არამედ მოელის სულგრძელობით მოქცევასა და სინანულსა* (შდრ. მთ. 9,13; მრკ. 2,17; ლუკ. 5,32).

სევითართა სახითა უკუშ აღვედ **იჭრუსალემს** და რადოდენი დღე დაგვავ ქალაქსა შინა პირველ დღესასწაულისა მითვე სახითა და უძვრესითა ვიყოფოდე, რამეთუ არა კმა ვიყვენ ჴაბუკნი იგი ოდენ, რომელნი სლვასა მასთანა ზღვსასა ჩემთანა იყვნეს, არამედ სხუანიცა მრავალნი შევაგინენ უცხონი და მოქალაქენი.

10. **ჰოლო** მოიწია რად *წმიდა იგი ჴუართა-ჴერობისა* დღესასწაული, მე, ვითარცა პირველ, მიმოვიდოდე და სულებსა ჴაბუკთასა ვინადირებდი მიცემად წარსაწყმედელსა. ოა ვხედევ უკუშ განთიად მსთუად ყოველთავე სრბით

ეკლესიად შემაგალთა და წარვედ მეცა და ვრ-
ბიოდე მათ თანა, ვიდრე ეზოდმდე ეკლესიისა. ოა
მოიწია რად ჟამი აღაგრობისა წმინდისა ჯუარ-
ისაჲ, ვეტენებოდე და ვეძულებოდე ერისა მის
თანა შესლვად ეკლესიად. ოა ვიდრე კარადმდე
ტაძრისა მის, სადა ცხოვლემყოფელი იგი ძელი
იყო, შრომითა და ჭირითა მრავლითა მივიწე-
ოდე. ღოლო ზღურბლსა რად კარისასა დავდგი
ფერკი, სხუანი იგი ყოველნივე დაუყენებულად
შევიდოდეს და მე ძალი საღმრთოდ მაყენებდა
და არა შემინდობდა შესლვად. ოა უკუნმაჭენიან
და მართლ უკუნმაქციან და მხოლოდ კუალად
ეზოსა ვიპოი. ღოლო ვპგონებდი თუ დედობრივ-
ისა უძღურებისაგან შემემთხუევის ესე. ზუალად
შევერთი სხუათა თანა და წინააღუდგებოდე,
რაოდენცა ძალ-მიც და ვეძულებოდი შესლვად.
წრამედ ცუდად ვშურებოდე, რამეთუ კუალადცა
მი-რად-ვეახლი კარსა უბადრუკი ესე, სხუანი იგი
შეიწყნარნის ტაძარმან მან დაუყენებლად და მე
საწყალობელსა ოდენ არა შემიშუებდა, ვითარმცა
მკედრობაჲ ამისთვს განწესებული, რადთა არა
შემიშვან. წრეთ უხილავი რადმე ძალი მაყენებდა
და კუალად ეზოდვე უკუნმაგდის. წე სამგზის
და ოთხგზის შემემთხუა. ოავშვერ და დაიცნა
ყოველი ძალი ჩემი და ვერდარა მეძლო ტენება-
სა ერისასა შესლვად, არამედ წარვედ და დავდვე
ყურესა ერისა ეზოდსასა. ძლით სადმე მოვეგე
გონებასა ჩემსა ცნობად მიზეზისა მის, რომელი
მაყენებდა მე ცხოველსმყოფელისა მის ჯუარისა
ხილვად. ძამეთუ შეახო თუალთა გულისა ჩემის-
ათა სიტყუამან მან განცხოველებულმან და მიჩ-
უწნა, ვითარმედ მწკრე იგი საქმეთა ჩემთა იყო,
რომელი დამიკმვიდა მე კარსა. წიწყე უკუშ ტი-
რილით გოდებდა და სულთ-ვითქუშმდ სიღრმით
გულისა ჩემისათა და კელითა ვიცემდ მკერდსა.

ღოლო ვითარ-იგი ვტიროდე, ვიხილე ზედაკ-
ერძო ადგილისა მის, სადა ვდვე, აღმოსავალით
კერძო ხატი ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელი-
სა. ოა მივხედენ მას მიუდრეკელითა თუალითა
და ვეტყოდე: «ქალწულო დედუფალო, რომელმან
სიტყუაჲ ღმრთისაჲ კორციელად ჰმვე! უწყი მე,
ვითარმედ არა ჯერ-არს არცა სამართალ ბილწი-
სა ამის და შევინებულისა მიხედვად ხატსა შენსა
ყოვლად წმინდისა მის ქალწულისასა, რომლისა
სულნი და კორცნი ყოვლად წმიდაჲ და უბიწო
არიან. ძამეთუ სამართალ არს და ჯეროვან, რად-
თა გვაგდე შებღალული ესე და ბილწი წმიდასა
მაგას და უმანკოსა. წარნა ვინამთგან ამისთვს
კაც იქმნა ღმერთი იგი, რომელი შევ შენ, ვითარცა

მესმის, რადთა მოუწოდს ცოდვილთა სინანულად
(მდრ. მთ. 9,10-13; 12,7; მრკ. 2,17; 10,32; ლუკ.
5,32). წვედერები, შემეწიე მე, რომელსა არავინ
მაქუს შემწედ ჩემდა. ღრძანე, რადთა შემენდოს მე
შესლვად ეკლესიად. ჩემცა დაჲკლდები პატიოს-
ნისა მის ძელისა ხილვად, რომელსა შეემსჭუალა
კორციითა შენგან შობილი ღმერთი და სისხლი
თვსი მისცა ჩუენთა ცოდვათათვს საკწრად.

ღრძანე, დედუფალო, რადთა განმელოს მე კარი
თაყუანისცემად ჯუარისა და შენ მიგცე შენგან
შობილსა ღმერთსა თავსმდებად ჭეშმარიტად,
რადთა არღარა შევაგინე კორცნი ჩემნი საქმი-
თა ბილწებისაჲთა. წრამედ რომელსაცა ყოველ-
სა ძელი ჯუარისაჲ შენისა ვიხილო, მეყსეულად
სოფელსა და ყოველთა საქმეთა სოფლისათა გან-
ვეშორო და განვიდე, ვინამცა თავსმდებმან მან
ცხოვრებისა ჩემისამან წარმიძელუ ესრეთ».

წსერა ვთქუ, ვითარცა გულსავსება რადმე
მოვიდა გულსა ჩემსა და სახიერებასა ღმრთისმ-
შობელისასა მივხედენ და წარვემართე ადგილი-
სა მისგან, რომელსა ვდვე და ვვედერებოდე. ოა
კუალად მივედ და შევევრთე შემაგალთა მათ თანა.
ოა არავინ იყო მაყენებელ ჩემდა მიახლებად კარ-
სა მას ტაძრისასა. შემიპყრა უკუე ძრწოლამან
და შიშმან და ყოვლითურთ განკკრვებულ ვიყავ.
ღოლო მივიწიე რად კარად, რომელი-იგი პირველ
დაკშულ ჩემდა იყო, მამინ ყოველივე იგი ძალი,
რომელი პირველ მაყენებდა, უფროდსად შემწე
ჩემდა იყო. წრეთ უშრომელად შევედ და წმიდასა
მას წმიდათაჲთა თაყუანის-ვეც და ცხოველყოფე-
ლი ჯუარი ვიხილე და განვიცადენ საიდუმლონი
ღმრთისანი, და ვითარ მზა არს იგი სინანულისა
შეწყნარებად.

ოავგარდი უკუე ქუეყანასა ზედა და შევემთხვე
წმიდასა მას ადგილსა, რომელსა დადგეს ფერკნი
უფლისანი და ვილოცე მკურვალითა ცრემლითა
და ვრბიოდე მისლვად წინაშე თავსმდებისა მის
ჩემისა. ძივიწიე უკუე ადგილსა მას, რომელსა
კელითწერილი იგი აღთქუმისა ჩემისაჲ დაიწერა.
ოა მოვიდრიკენ მუკლნი წინაშე ხატსა მას წმი-
დასა მას დედისა ქალწულისა ღმრთისმშობელისა
მარიამისსა და ესრეთ ვიტყოდი:

«გმაღლობ შენ, წმიდაო დედუფალო, რამეთუ
წყალობა შენი აჩუქნე ჩემზედა და არა მოიძაგე
უღირისისა ამის ვედრებაჲ. წიხილე მე ღიდებაჲ,
რომელსა სამართლად ვერ ვიხილავთ ცოდვილ-
ნი. ოიდებაჲ ღმერთსა, რომელი შენ მიერ შეი-
წირავს ცოდვილთა სინანულსა. ძად მოვიგონო,
ანუ რად ვთქუა სხუაჲ ცოდვილმან და უღირს-

მან. ოწ უკუშ ჟამი არს, წმიდაო დედუფალო, აღსრულებად აღთქმისა, რომლისათჳს თავსმდებ მექმენ. ოწ სადაცა ბრძანო, მიმიძედუ, აწ უმეტესად მექმენ მასწავლელ ცხორებისა ჩემისა და წარმიძედუ გზასა სინანულისასა».

11. ოა ამას რად ვიტყოდი, მესმა კმად შორით, რომელი იტყოდა: «უკუეთუ **იორდანე** წიად-ვლო, კეთილი განსუწნებაჲ ჰპოო». ოლო ესე რად მესმა კმად იგი ჩემდა მომართ თქუმილი, გულისკმა-ვეყე და ცრემლით კმა-ვეყე ღმრთისმშობლისა მიმართ და ღაღად-ვეყე: «დედუფალო, დედუფალო, ნუ დამიტყუებ მე!» და ესე რად ვთქუ, განვედ ეზოდსა მისგან ეკლესიისა და ვიდოდე. ოლო გამო-რად-ვიდოდე, მიხილა ვინმე და სამი დანგი მომცა და მრქუა: «მიიღე ესე, დედაო». ოა აღვიღე იგი და სამი პური ვიყიდე საგზლად გზისა ჩემისა და ვჰკითხე პურისა მსყიდელსა მას, თუ რომელი არს გზად **იორდანედ** მიმევანებელი. ოა მისგან ვისწავე ბჰე იგი ქალაქისაჲ, რომელ **იორდანედ** მიიყვანებდა. ოა განვედ მოსწრაფედ და ვიწყე სლვად ცრემლით.

ოლო იყო მესამე ოდენ ჟამი, ოდეს ჯუარი ქრისტესი ვიხილე და ქალაქით გამოვედ. ზითხვით უკუე ვისწავებდ გზასა მას და მიმწუხრამდე მოვიწიე ტაძარსა წმიდისა **იოანე ნათლისმცემლისასა**, რომელ არს მახლობელად **იორდანესა**. ოა თაყუანის-ვეც ტაძარსა მას და მერმე შთავედ **იორდანესა** და კელნი და პირი წმიდითა მით წყლითა დავაღებენ. ოა მივედ ეკლესიად და ვეზიარე წმიდასა ქრისტეს საიდუმლოთა ტაძარსა მას ნათლისმცემლისასა. ოა ნახევარი ერთისა პურისა შევჭამე და წყლისა მისგან **იორდანისა** ვსუ. ოა მოვიწიე მდინარისა კიდესა ღამესა მას და განთიად ვპოვე მუნ ნავი მცირე და შევედ შინა და წიად-ველე **იორდანე** და კუალად ვხადოდე წინამძღუარსა მას ჩემსა, რადთა მიმიძლევს, ვინადცა მას სათნო-უჩნს და ვიდოდე, ვიდრემდის მოვიწიე ამას უდაბნოსა.

ოლო ამიერთგან ვიდრე აქა დღედმდე განვეშორე და ამას უდაბნოსა განვისუწნე და მოველი ღმერთსა, მაცხოვარსა ჩემსა, რომელი იკსნის სულმოკლეობისაგან და ნიავექარისა ყოველნი, რომელნი სინანულით მისსა მიიღტიან».

12. მოუგო **ზოსიმე** და ჰრქუა მას: «რადოდენი უკუშ წელიწადია, დედაო სულიერო, ვინადთგან ამას უდაბნოსა იყოფები?» ჰრქუა მას დედაკაცმან მან: «ორმოცდაშვიდი წელი არს, ვინადთგან ქალაქით **იჭრუსალემით** გამოვედ».

სრქუა მას **ზოსიმე**: «და რად იყო საზრდელ

შენდა, წმიდაო ღმრთისაო?» მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: «ორი პური და ნახევარი გამოვიღე, **იორდანე** რად წიადლე, რომელნი იგი განკმეს და ვითარცა ქვაჲ იქმნეს, რომლისაგან მცირე-მცირედ ვჭამდ მრავალჟამ, ვიდრემდის დაილინეს».

სრქუა მას **ზოსიმე**: «და ესრეთ უშრომელად გარდაიკადენა ესოდენნი წელი და არა შეგაშფოთა ანაზღადთმან მან შეცვალებამან ცხორებისა შენისამან?»

მოუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა: «საქმე მკითხე მე, მამაო **ზოსიმე**, რომლისა თქუმადცა ვძრწი. ჩამეთუ უკუეთუ მოვიდე აწ ცსენებად ჭირთა მათ, რომელნი თავს-ვისხენ და განსაცდელთა სიმრავლენი და გულის-სიტყუათა მათ, რომელნი ბოროტად შემაურვებდეს, მეშინის, ნუუკუე კუალად მათვე შემაურვონ მე».

ოამინ **ზოსიმე** ჰრქუა მას: «ნურას დაუტეობ დედუფალო ჩემო, რომელი არა მითხრა, ვინადთგან ერთგზის გიწყიეს თქუმად ყოველთავე, ჯერ-არს დაუკლებელად წარმოთქმა». სრქუა მას ნეტარმან მან:

«გრწმენინ, მამაო, ათრჯდმეტი წელი დავყავ უდაბნოსა ამას ბრძოლად მკეცთა უწყალოთა, რომელნი არიან ბოროტნი გულის-სიტყუანი. ჩამეთუ რაჟამს საზრდელისა მოღება მენების, გულისთქმა მომიკდის თევზისა და ღვნისა და კორცისა, რომელი იყო **გვჰატეს**. ჰსუროდა ღვნისათჳსცა ჩემდა პირველ საწადელისა, რამეთუ ფრიად ღვნოსა ვსუ, ჩემდა სოფელსა რად ვიყავ. ოლო აქა არცა თუ წყალი მაქუს და ამისთჳს ბოროტად ვიგუშმებოდე და ჭირსა მას ვერ თავს-ვიდებდ. ოა კუალად კმათა მათ სიმღერისათაჲ გულის-თქმაჲ ფრიადი მაჭირვებნ და მაიძულებნ თქუმად გალობათა მათ საეშმაკოთა, რომელნი მესწავლნეს».

ოლო მეცსეულად ვიწყი ტირილად და მკერდსა ვიცემდ და მოვიცსენებდი თავსა ჩმმსა აღთქუმათა მათ, რომელ აღუთქუენ თანა გამო-რად-ვიდოდე უდაბნოდ. ოა მოვიწიე გონებითა ხატსა მას წმიდისა ღმრთისმშობელისა, თავს-მდებისა ჩემისასა და შევსტიროდი მას განდევნად ჩემგან ესევეითართა მათ გულის-სიტყუათა, რომელნი სტანჯვიდეს გლახაკსა მას სულსა ჩემსა. ოა ოდეს ფრიად ვიტირი და მკერდსა ვიცი, ვიხილი ნათელი გამობრწყინებული ჩემზედა და მეცსეულად დაწყნარებაჲ დიდი იქმნის დელვათა მათგან.

ოლო გულის-სიტყუანი იგი, რომელნი სიძვისა მიმართ აღმძრვიდეს, ვითარ-მე მიგითხრნე,

მამაო, რამეთუ ცეცხლი აღტყინდებოდა გულსა შინა ამის უბადრუკისასა და ყოვლითურთ ვიწუებოდე გულის-თქუმითა მით სიძვისადთა. **ჟოლო** ესევეთარი რაჲ ბრძოლაჲ მომიკდის, დავვარდი ქუეყანასა ზედა და ცრემლითა მიწასა დავაღტობდ. **ოა** ესრეთ ვპკონებდ, ვითარმცა თავადი იგი თავსმდები ჩემი მუნ დგა და მაბრალეზდა მე გარდასლვისა მისთჳს აღთქმისა ჩემისა და სატანჯუშლთამცა მისთქმიდა გარდასლჳსა მისთჳს. **ოა** არა აღვდგე ქუეყანიო, დაღაცათუ ორ დღე იქმნის პირსა ზედა მდებარება ჩემი, ვიდრემდის ტბილი იგი ნათელი არა გამომიჩნდის და შემაურვებელნი იგი ჩემნი გულის-სიტყუანი განიოტნის.

სრეთ უკუშ დაუცადებელად თუალნი სულისა ჩემისანი თავს-მდებისა მის ჩემისა მიმართ აღპერობილ იყვნეს და მის მიერ ვითხოვდ შეწევნასა, რომელ არა აქუნდა სხვაჲ შემწე სივრცესა ამას შინა უდაბნოხასა, გარნა იგი მხოლოდ და ნანდვლვე ჭეშმარიტად მეპოვა შემწე დიდი და კელის-ამპყრობელი სინანულისა. **ოა** ესრეთ გარდავლენ ათრვდმეტი იგი წლისა ჟამნი მრავლითა ჭირითა და განსაცდელითა. **ჟოლო** მიერთებან და აქა დღემდე შემწე იგი ჩემი მარადის ჩემ თანა არს და კელსა აღმიპყრობს მე».

13. **ძიუგო ზოსიმე** და ჰრქუა მას: «და მიერთებან სხუჲ საზრდელი, ანუ სამოსელი არა გეკმარაჲ?» ჰრქუა მას საკრველმან მან დედაკაცმან: «პურნი იგი, ვითარცა ზემო ვთქუ, დავლიენ და ათრვდმეტსა მას წელსა ღერებითა მით და სხუთა თოვითა და ძირებითა, რომელნი მეპოებოდეს უდაბნოსა ამას, ვიზარდებოდე.

ჟოლო სამოსელი იგი, რომლითა **იორდანე** წიად-ვლე, სივრცეთა დღეთასა განილია და წარკდა. **წრიადი** უკუე ჭირი შემემთხვა სიცხისაგან და სიცვიისა, რამეთუ შევიწუებოდე სიცხითა ზაფხულისადთა და ყინელითა ზამთრისადთა განვილეოდე, ვიდრელა მრავალგზის დავვარდი ქუეყანასა ზედა და ვითარცა მკუდარი ვიდვი.

ძრავალთა უკუე და მრავალ სახეთა ჭირთა და განსცდელთა აურაცხელთა და ძლიერთა ვეწეებოდე ათრვდმეტისა მის წელიწდისა ჟამთა.

ჟოლო მიერთებან ვიდრე დღენდელად დღემდე მრავალსაზე იგი ძალი ღმრთისაჲ ცოდვილსა ამას სულსა ჩემსა და ჳორცთა ამათ გლახაკთაჲ ჰფარავს. **ოა** ოდეს ესე ოდენ მოვიგონო, თუ რაჲოდენთა ბოროტთაგან მიჳსნა მე უფალმან. საზრდელად განუძღომელად მაქუს სასოებაჲ ცხოვრებისა ჩემისა, რამეთუ მზრდის და მფარავს სიტყუაჲ ღმრთისაჲ, მპყრობელი იგი ყოვლის-

ავე, რამეთუ: «**არათუ** ოდენ **პურიოთა ცხოვრებისა** კაცი, **არამედ ყოვლითავე სიტყუთა, გამომავალითა პირისაგან ღმრთისაჲ**» (მდრ. მთ. 4,3-4; ლუკ. 4,4). **ჴითარცა** თქმულ არს, ვითარმედ: «**არა აქუნდა მათ საფარველი და ამისთჳს კლდე შეიმოსეს, რომელთა-იგი სამოსელი ცოდვისა აღიძარცუშს**» (მდრ. **სოზ.** 24,7).

ჟოლო ესმა რაჲ **ზოსიმეს**, ვითარმედ სიტყუანი **წერილისანი** აჳსენნა **მოსესაგან** და **იობისაგან** და წიგნისა მისგან **ფსალმუნთასა**, ჰრქუა მას **ზოსიმე**: «**წერილნი ყოველნი გისწავიან, დედაო სულიერო**».

ჟოლო მან რეცა განილიმნა და ჰრქუა მას: «**გრწმენინ**, მამაო, არა მიხილავს სხუაჲ კაცი ამას უდაბნოსა, ვინადთგან **იორდანე** გამოვლე, გარნა შენი ზოლო პირი დღეს მიხილავს. **ჟოლო** ფსალმუნებაჲ, ანუ წიგნის-კითხვაჲ მცირედით და არცა სხუცა ვისი მასმიეს, არა თუმცა მე მესწავა. **სარნა** სიტყუაჲ უფლისაჲ ცხოელ არს და ძლიერ და მან მოსცის კაცსა მეცნიერებაჲ. **სქამდის** არს აღსასრული საქმეთა ჩემთა თხრობისაჲ, გარნა რომელ-იგი დაწეებასავე სიტყვსა ჩემისასა ვქმენ. **ოა** აწცა მასვე გვედრები და გაფუცებ ჩუენთჳს განჳორციელებულსა მას ღმრთისა სიტყუასა, რაჲთა ილოცვიდე ჩემთჳს ცოდვილისა ამის ღმრთისა მიმართ».

14. **სე** რაჲ თქუა მან და სიტყუაჲ თჳსი აღასრულა, მოდრკა ბერი მეყსეულად თაყუანისცემად ქუეყანასა ზედა და ცრემლით იტყოდა: «**კუროთხეულ ხარ, ღმერთო, რომელმან მიჩუენე, რაოდენსა კეთილსა მიანიჭებ მოშიშთა შენთა, რამეთუ ჭეშმარიტად, უფალო, არასადა დაუტევენ მეძიებელნი შენნი**». **ჟოლო** მან უპყრა ბერსა და არა შეუნდო სრულიად მუკლთ-მოდრეკად და ჰრქუა მას: «**ესე ყოველი, რომელი გესმა, კაცი ღმრთისაო, გაფუცებ მაცხოვარსა ჩუენსა, რაჲთა არავის უთხრა, ვიდრე ღმერთმან ქუეყანით მიმიწოდოს. **სწ** უკუე წარვედ მშჳდლობით და კუალად მომავალსა მას წელიწადსა მიხილო მე და მეჩუენო მე დაცული მადლითა ღმრთისადთა. **სრამედ** ქმენ ქრისტეს მცნებისათჳს, რომელსა ვითხოვ შენგან: მარხვათა მომავლისა მის წელიწადისა, ნუ წიად-ჰკდები **იორდანესა**, ვითარ-იგი წეს არს მონასტერსა შენსა**».

მკვრდა უკუე **ზოსიმეს**, ესმოდა რაჲ რომელ წესთაცა მონასტრისათა უთხრობდა და ამას ოდენ იტყოდა: «**დიდებაჲ შენდა, უფალო, რომელმან ესევეთარნი მადლნი მიანიჭენ მოყუარეთა შენთა**». **ჟოლო** წმიდამან მან დედაკაცმან ჰრქუა

მას: «დაადგერ უკუე, მამაო **ზოსიმე**, ვითარცა ვთქუ, მონასტერსა შინა, რამეთუ დადაცათუ გენებოს გამოსლვის, ვერ განგემარჯოს. **ხოლო** მწუხრსა დიდისა ზუთშაბათისასა, სერობასა მას დიდებულსა, აღიქუ წმიდად კორცი და სისხლი ქრისტესი და მოვედ კიდესა **იორდანისასა**, რომელ არს სოფლით კერძოდ. **თა** მელოდე მე, რაფთა მოვიდე დ ვეზიარო ცხოელსმოფელთა მათ ქრისტეს საიდუმლოთა, რამეთუ ვინადთგან ვეზიარე ეკლესიასა მას ნათლისმცემლისასა პირველ წილ-მოსლვისა ჩემისა **იორდანეს**, არღარა მიმთხუეულ ვარ სიწმიდესა მას ვიდრე აქამომდე. **თა** აწ სურვილითა მიუთხრობელითა მსურის მისსა. **სმისთუ**ს გვედრები სათხოელსა ამას ჩემსა, ნუ უგულვებელს-ჰყოფ, არამედ ღირს-მყავ ზიარებად წმიდათა მათ საიდუმლოთა ჟამსა მას, რომელსა უფალმან მოწაფენი თვსნი წმიდისა მის სერობისა ზიარ-ყვნა. **თა** მამასახლისსა მონასტრისა მის, რომელსა შინა ხარ, ესრეთ არქუ: «**მამაო**, **ეკრძალე** თავსა შენსა და სამწყსოსა მაგას შენსა, რამეთუ იქმნებიან მუნ საქმენი რამე, რომელთა ჯერ-არს განმართლებად». **სარნა** არა აწ მნებავს, რაფთა უთხრა ესე, არამედ ოდეს უფალმან გიბრძანოს».

15. **სე** რაფთა თქუა და ლოცვაჲ ითხოა ბერისაგან და შინა კერძო უდაბნოჲსა მას წარემართა. **ხოლო** **ზოსიმე** მოიდრიკნა მუკლნი და ამბორს-უყოფდა ადგილსა მას, სადა დგეს ფერკნი მისნი და მისცა ღმერთსა დიდებაჲ და მადლობით და სიხარულით სულისაჲთა მოიქცა. **თა** აღიდებდა და აკურთხევდა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა. **თა** წარმოვლო უდაბნოჲ იგი და მოიწია მონასტრად დღესა მას, რომელსა აქუნდა წესი მონაზონთა მათ მოქცევაჲდ მონასტრადვე. **თა** მას წელიწადსა დუმნა და ვერვის იკადრა თხრობად, რაჲ იგი იხილა. **ხოლო** თვსგანვე ევედრებოდა ღმერთსა, რაფთა ღირს-ყოს კუალადცა ნეტარისა მის ხილვად და ელმოდა სიგრძისა მისთუწ წელიწადისა და სწადოდა უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ერთ დღე ყოფად წელიწადისა მის.

ხოლო მო-რაჲ-იწია წინა კვრიაკე იგი წმიდათა მარხვათაჲ, ოდეს-იგი წესი იყო განსლვისა მის მამათაჲსა უდაბნოდ, ყვეს რაჲ ლოცვა და სხუანი იგი ყოველნივე განვიდეს გალობითა. **ხოლო** იგი შეპყრობილ იქმნა მკურგალებითა და შინა დაადგრა. **ჟოეკსენა** უკუე **ზოსიმეს** სიტყუაჲ იგი წმიდისა მის, რომელ თქუა, ვითარმედ: «**დადაცათუ** გენებოს განსლვაჲ მონასტრით, არა განგემარჯოს». **ხოლო** მცირედნი რაჲ დღენი გარდაკდეს, განმრთულდა სენისა მისგან და იქცეოდა

მონასტერსა შინა.

ხოლო მოიქცეს რაჲ მონასტერსა მონაზონნი და მოეხლა ღამე იგი საიდუმლოსა მის სერობისაჲ, ყო, ვითარცა იგი ნეტარმან მან უბრძანა მას. **თა** მიიქუა მცირითა ბარძიმიტა წმიდად კორცი და სისხლი ქრისტეს ღმერთისა ჩუენისაჲ, და სფუკრიდსა შინა შთასსა ოსპნი დამბალი და ლელვ და მიიწია მწუხრისა, შელა-ოდენ-ბნელე-ბულ იყო კიდესა **იორდანისასა**. **თა** მოელოდა მოსლვასა წმიდისა მის დედაკაცისასა. **თა** დაყოვნებასა მისსა **ზოსიმეს** არა მიერულა, არამედ დაუცადებელად ზედვიდა უდაბნოჲთ კერძო და მოელოდა საწადელსა მას. **თა** იტყოდა ბერი გონებასა თვსსა: «**ნუ**უკუე უღირსებაჲ ჩემი დამაყენებელ მისა იქმნა მოსლვად. **ნუ**უკუე მოვიდა და ვერ მპოა მე და წარვიდა». **სმას** რაჲ იტყოდა, ცრემლოდა სულთქუმიტ. **თა** აღიხილნა ზეცად თუალნი თვსნი და ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა:

16. «**ნუ** დამაკლებ, უფალო, კუალადცა ხილვად საუნჯე იგი უდაბნოჲსაჲ, რომელი მიჩუენე მე. **ნუმცა** წარსრულ ვარ ცალიერი სამხილვებელად ცოდვათა ჩემთა». **სმას** რაჲ ილოცვიდა, კუალად სხუასა გულის-სიტყუასა შევიდა და იტყოდა: «**რა**ჲ-მე უკუე ყოფად არს, დადაცათუ მოვიდეს, რამეთუ ნავი არა არს. **წითარ** გამოვლოს **იორდანე** და ჩემდა მოვიდეს უღირსისა ამის? ვად მე, ცოდვილსა ამას, უკუეთუ ესევიტარსა მას კეთილსა დაჟაკლდე?»

სმას რაჲ იგონებდა, აჰა ესერა, წმიდაჲ იგი დედაკაცი მოიწია და დადგა კიდესა ზედა **იორდანისასა**. **ხოლო** **ზოსიმე** იხილა რაჲ იგი, აღდგა სიხარულით და აღიდებდა ღმერთსა, არამედ კუალადცა გულის-სიტყუაჲ იგი აურევებდა და იტყოდა: «**ვითარ** გამოვლოს **იორდანე**?» და ამას ესრეთ იგონებდა, ვითარმედ გამოსახა სახე ჯუარისაჲ **იორდანესა** ზედა, რამეთუ საესე იყო მთოვარე ღამესა მას და კეთილად ჩნდა. **თა** ვითარცა-იგი ჯუარი დასწერა, აღკდა წყალთა მათ ზედა და მისა მოვიდოდა. **ხოლო** **ზოსიმე** ესე რაჲ იხილა, ინება მოდრეკად მუკლთაჲ და თაყუანისცემად. **თა** ნეტარი იგი აყენებდა მას, **მო-რაჲ-ვიდოდა წყალთა ზედა** (მდრ. მთ. 15,26), და ეტყოდა: «**რასა** იქმ, მამაო **ზოსიმე**, არა უწყია ფრიად, მდღელ ხარ და წმიდაჲ საიდუმლოჲ კელთა გაქუს». **სმას** სიტყვსა ზედა დაჰმორჩილდა **ზოსიმე**.

ხოლო გამო-რაჲ-ვიდა წმიდაჲ იგი მდინარით, ჰრქუა **ზოსიმეს**: «**მა**კურთხე, მამაო, **მა**კურთხე». **ჟიუგო** ბერმან და ჰრქუა მას მრწოლით, რამეთუ

განკერვებულ იყო დიდსა მას ზედა საკრველებას: «ჰუმარიტად უტყუელ არს ღმერთი, რომელმან აღუთქუა მოყუარეთა თვსთა მიმსგავსებად ღმერთისა, რაოდენ შემძლებელ არს იგი კაცთა მიერ მიმსგავსებად მისი. ოიდებად შენდა ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელმან მიჩუენე მე, მკველისა ამის შენისა მიერ, თუ რაოდენ შორს ვარ საზომისა მის სისრულისა».

ხოლო დედაკაცმან მან წმიდამან ბრძანა *მრწამსისა და მამო ჩუენო*სა წართქუმაჲ. ოა ესე რაჲ წართქუეს და ლოცვაჲ ადასრულეს, მისცა ამბორის-ყოფაჲ სიყუარულისა ქრისტესისა პირსა ბერისასა. ოა ესრეთ ეზიარა წმიდათა მათ და უხრწნელთა საიდუმლოთა. ოა მეყსეულად განიპყრნა კელნი ზეცად და სულთ-ითქუნა და ცრემლითა მკურვალთა ღაღად-ყო: «აწ განუტყვე მხევალი შენი, მეუფეო, მსგავსად სიტყვსა შენისა მშვდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაჲ შენი» (შდრ. ზუკ. 2,30). ჰაშინ ჰრქუა ბერსა: «შემინდევ, მამო, და ერთი სხუად ვედრებაჲ ჩემი ადასრულე: წარვედ აწ სენაკად შენდა, დაცვული მშვდობითა ქრისტესითა. ხოლო მომავალსა მას წელიწადსა მოვედ კუალად მას ნაღუარეჲსა, სადა პირველ გიხილე შენ. ჰოვედ უეჭუელად მცნებისათჲს უფლისა და კუალად მიხილო მე, ვითარცა უფალსა ენებოს». ხოლო ბერმან ჰრქუა მას: «ნეტარ, თუმიცა შესაძლებელ იყო ამიერითგანვე შენდა შედგომაჲ და მარადის ზეღვაჲ ღმრთისმოყუარისა მაგის პირისა შენისა. ორამედ გვეედრები, ქმენ ერთი ვედრებაჲ ცოდვილისა ამის ბერისად და პირ-იკსენ მცირედ საზრდელსა ამისაგან, რომელ მომიდიეს». ოა მეყსეულად უჩუენა ტაბაკითა ოსპნი იგი და ლელჲ. ხოლო მან მიყვნა თითნი მისნი და სამი მარცუალი ოსპნისად მიიღო და ჰრქუა: «ემა-არს მადლი იგი სულისა წმიდისა დაცვად არსებასა მას სულისასა». ოა ესე რაჲ თქუა, მოუგო და ჰრქუა კუალად ბერსა მას: «ლოცვა ყავ, მამო, გლახაკისა ამისთჲს. ზოცვა ყავ და უბადრუკებაჲ ჩემი მარადის გაკსოვდეს ლოცვათა შინა შენთა». ხოლო ბერმან ამბორს-უყო ფერკთა მათ წმიდისა და ნეტარისათა და ითხოვდა ლოცვასა თავისა თვსისათჲს და წმიდათა ეკლესიათათჲს და ყოვლისა სოფლისათჲს. ოა ესრეთ ცრემლით განუტყვა იგი წარსლვად. ზერ ძალ-ედვა დაუყენებელისა მის უმეტესად დაყენება.

ხოლო ნეტარმან კუალად გამოსახა სასწაული ჯუარისა *იორდანესა* მათ ზედა და აღკდა რაჲ წყალთა მათ ზედა, მეყსეულად წიაღკერძო

იპოვა. ხოლო ბერი მოიქცა სიხარულითა და შიშითა საესე და აბრალედა თავსა თვსსა, რამეთუ სახელი წმიდისა მის არა გამოიკითხა. ორამედ აქუნდა სასოებაჲ მომავალსა მას წელსა კითხვად.

17. ხოლო გარდაკდა რაჲ წელიწადი იგი და მოვიდეს კუალად დღენი მარზათანი, წიაღ-ვლო *იორდანე* მამამან *ზოსიმე* და წარვიდა მასვე უდაბნოსა ხილვად საკრველისა მის დიდისა. ოა ვითარცა ვლო სიგრძე იგი გზისად მის და მიიწია არეთა მის ადგილისათა, ზედვიდა მარჯულ და მარცხით, ვითარცა მონადირე კეთილისა ნადირისა. ოა ვითარ-იგი მყოარ ჟამ მიმოვიდოდა, იწყო ცრემლით ვედრებად ღმრთისა და იტყოდა:

«მიჩუენე, მეუფეო, საუნჯე იგი მადლისა შენისად დიდი, რომელ დაფარულ არს უდაბნოსა ამას შინა. ჰიჩუენე, გვეედრები, კორცითა ანგელოზი იგი, რომლისა სოფელი ყოველი არა ღირს არს» (შდრ. ებრ. 11,38). ომას რაჲ ილოცვიდა, მიიწია ადგილსა მის ნაღუარევისა სახესა და დადგა კიდესა მისსა და მიხედნა აღმოსავალით კერძო და იხილა ნეტარი იგი აღსრულებული და მდებარე ქუეყანასა ზედა. ოა კელნი წესიერად დაქეყნეს და პირი მისი იყო აღმოსავალით კერძო.

ღსე რაჲ იხილა, მირბიოდა, მოეზუა ფერკთა მათ წმიდათა და ცრემლით დაბანნა ივინი. ჰამეთუ არცა თუ იკადრებდა სხუასა ასოსა ამბორის-ყოფად, გარნა ხოლო ფერკთა. ოა ვითარცა მყოარ ჟამ ცრემლოდა და წართქუნა ფსალმუნნი, რომელნი საქმესა მას შეჰგვანდეს და ყო ლოცვაჲ აღსრულებულთა. ჴყოდა თავსა თვსსა: «დაფლვაჲ-მე ჯერ-არსა წმიდისა ამის გუამისა, ნუუკუე არა სათნო-უჩნს ესე ნეტარსა მას». ოა ამას რაჲ იგონებდა, მიხედნა თავით კერძო მისსა და იხილა წერილი გამოსახული ქუეყანასა ზედა, რომელსა ესრეთ წერა:

«დაჰფალ, მამო *ზოსიმე*, ამას ადგილსა გუამი გლახაკისა *მარიამისი*. ოა მიეც მიწად მიწასავე და ჩემთჲს უფლისა მიმართ ილოცვედ, რომელი აღვესრულე თუესა *ფარმოთჲსა «ა» მეგჰბტელე-ბრ*, რომელ არს *ბერძულეზრ* თუე *აპრილი*. ჰასვე დამესა ქრისტეს ვნებისასა, ოდეს-იგი საიდუმლოსა დიდებულსა მის სერობისასა ვეზიარე».

ღსე რაჲ წარიკითხნა ბერმან, უკერდა წერილი იგი, რამეთუ ასმიოდა მისგან თუ წერილი არა მისწავიესო. ოა განიხარა, რომელ ისწავა სახელი წმიდისა მის და ცნა ფრიად, ვითარმედ მასვე ჟამსა, რომელსა ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა *იორდანესა* ზედა, მეყსეულად ადგილსა მას მიიწია, სადა იგი აღესრულა. ოა რომელსა *ზოსიმე*

ოც დღე შრომით ვიდოდა, ნეტარმან მან ერთსა ჟამსა ვლო და მეცსეულად სოფლისა ამისგან განვიდა და ღმრთისაჲ მიიცვალა. **ხოლო ზოსიმე** აღიდებდა ღმერთსა და დააღებდა გუამს მისსა ცრემლითა და ჰრქუა თავსა თვსსა: «ჟამი არს, 5 გლახაკო **ზოსიმე**, ბრძანებულისა მის აღსრულებად, ვითარმედ რაჲ-მე ჰყო, უბადრუკო, ვითარ ჰკუეთო სამარე, რამეთუ სათხროლი არა გაქუს».

ოა ესე რაჲ თქუა, იხილა მახლობელად ადგილისა მის მდებარე მცირე შეშად, მოიღო და იწყო თხრად. **წარნა** ცმელი იგი ქუეყანად ყოვლადვე არა ჰმორჩილობდა ბერსა და ფრიად შურებოდა იგი და ვერარას იქმოდა. **ოა** სულთ-ითქუნა სიღრმეთაგან გულისათა და მიხედნა მახლობელად წმიდისა მის გუამისა და იხილა ღომი ერთი, მდგომარე მის ზედა და ფერკთა მისთა ჰლოშნიდა.

ხოლო ზოსიმე იხილა რაჲ მკეცი იგი, შემინდა უფროდსად, რამეთუ მოეცენა სიტყუად იგი წმიდისაჲ მის, რომელ ჰრქუა ვითარმედ: «არცა თუ მკეცი მიხილავს». **წარმედ** ჯუარითა *ქრისტესითა* შეიბეჭდა თავი თვისი და ჰრწმენა, ვითარმედ უნებელად დაიცავს იგი ძალმან მან და მადლმან მისმან ნეტარისამან. **ხოლო** ღომმან მან იწყო კუდისა ქნევად და რეცა სახით მოიკითხვიდა ბერსა. **ჰაშინ ზოსიმე** ჰრქუა ღომსა მას: «ჰ, მკეცო, დედასა ამას უბრძანებებს დაფლავად გუამისა მისისაჲ. **ოა** მე მოხუცებულ ვარ და ვერ ძალ-მიც საფლავისა აღმოკუეთად, რამეთუ არცა სათხროლი მაქუს და ესოდენსა სიგრძესა გზისასა წარსლვად და მოდებად სათხროლისა ვერ შემძლებელ ვარ. **წმისთვს** უკუე ქმენ შენ საქმე ესე ბრჭალითა შენითა, რაჲთა დაეჰმარხო გუამი წმიდისა ამისა». **ოა** მეცსეულად სიტყუასა ამას თანა იწყო ღომმან მან წინაჲთა ფერკითა თხრად და აღმოჰკუეთა საფლავი, რომელი კმა-ვეოფოდა დადარხვად გუამისა მის.

ხოლო ბერმან კუალადცა ფერკნი იგი წმიდისანი ცრემლითა დააღებნა და ფრიად ევედრებოდა აჲ უმეტესად მეოხებად ყოველთათვს ქრისტეს მიმართ. **ოა** ესრეთ დაჰმარხა გუამი მისი, ვიდრეღა ღომი იგი მუნ დგა. **ოა** არარაჲ სხუად ემოსა გუამსა მას, გარნა ჰუელი იგი საბლარდნელი, რომელი პირველ მისცა მამამან **ზოსიმე**. **ოა** ვითარცა ყოველივე წესი დამარხვისა მისისაჲ აღასრულა, მაშინ ღომი იგი შინაკერძო უდაბნოდსა მის წარვიდა, ვითარცა ცხუარი. **ხოლო ზოსიმე** მიიქცა თვსსავე გზასა, აკურთხევ-

და და უგალობდა *ქრისტესა* ღმერთსა ჩუენსა. **ოა** მო-რაჲ-იწია მონასტრად, ყოველივე მონაზონთა მათ მიუთხრა და არარაჲ დაუფარა, რაოდენი იგი იხილა და რაჲ-იგი ესმა. **ოა** ყოველთა, რომელთა ესმა, განკურვებულ იყვნეს დიდებულებათა მათთვს ღმრთისათა და შიშითა და სრწმუნოებით აღასრულებდეს საცსენებელსა მას ნეტარისა **მარიამისსა**. **ოა** **იოანე მამასახლისმან** პოვნა, ვიეთნიმე მონასტერსა თვსსა, რომელსა ეკმარებოდა განმართლებად ცთომათა მათთაჲ, რაჲთა არა ამას ზედამცა ცუდ და უსარგებლო იქმნას სიტყუად წმიდისაჲ მის.

18. ხოლო მამამან **ზოსიმე** დაყვნა ჟამნი ცხოვრებისა მისისანი მას მონასტერსა შინა და აღესრულა მოხუცებული ასისა წლისაჲ, ვითარცა იტყოდეს მამანი იგი.

ოა აღესრულებოდა მონასტერსა მას შინა წლითი წლად საცსენებელი ნეტარისა **მარიამისი** და მიუთხრობდეს მამანი იგი საქმესა მის ურთიერთას და ყოველთავე სარგებელად სულთა ესმის და სახედ ცხოვრებისა კეთილისა.

ხოლო მე ყოველნივე, რომელი მესმა მამათა მათგან, რომელნი თუალითა მხილველ ყოფილ იყვნეს ნეტარისა **ზოსიმესსა** დ პირისაგან მისისა თხრობად ესე ესწავა, წიგნსა ყოველთავე ამას შინა აღვსწერე ძალისაებრ ჩემისა. **ოა** არცა ერთი სიტყუად გარეგან ჭეშმარიტებისა შევსძინე, არამედ ყოველივე, ვითარცა ნეტარსა **ზოსიმეს** მამათა მათდა ეთხრა, ესრეთ აღვსწერე.

ხოლო ღმერთმან, მოქმედმან მან დიდთა საკურველებათამან, რომელი ნიჭითა მით კეთილითა მისთაჲთა ახარებს ყოველთავე, რომელნი მისა მიიფლტოდინ, მიეცინ მადლი და წყალობად ყოველთა, რომელნი მიემთხვნენ სულისა სარგებელსა ამას თხრობასა და აღმოიკითხენ ესე; და სასყიდელი შრომისაჲ ამის და სარგებელისა მათისაჲ, რომელნი ამას იკითხვიდენ, მიანიჭენ მას, რომელმან აღწერად ამის სულიერისა ცხოვრებისაჲ გვბრძანა და ყოველნივე ღირს-გუყვენინ ნაწილსა მას და მადლსა ამის ნეტარისა **მარიამისსა**, რომლისათვს იყო სიტყუად ჩუენი, ღოცუთა და მეოხებითა ყოველთა წმიდათა და სათნოთა მისთაჲთა, რომელნი სათნო-ვევნეს მას საქმითა და გულისცმის-ყოფითა, რამეთუ მისი არს დიდებად, პატვი და სიმტკიცე მამისა და მისა და სულისა წმიდისა, აჲ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე, ამენ.